585
1952

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფურცლები

№ 5 (46) 10 სექტემბერი 1952 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

52. ბრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ.

53. დაჯილდოებულთათვის ჯილდოების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში.

54. ბრძანებულება ამხ. რ. ა. კვირკველიას მოხსნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

55. ბრძანებულება მშრომელთა დეპუტატების ოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-14 მუხლში და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 101-ა მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

56. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის შესახებ თბილისის ოლქში.

28

Контрольный экземпляр
полиграфиздата при
Совете Министров ГССР

Контрольный

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

52. გრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და ქვემოთ ჩამოთვლილ სასოფლო საბჭოებს და სოფლებს ეწოდოთ:

გაგრის რაიონში:

1. ახალგაგრის სასოფლო საბჭოს—დაბის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ დაბაში;

2. ციგწყაროს სასოფლო საბჭოს—კაკლიანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ კაკლიანში;

3. ლძაანის სასოფლო საბჭოს სოფელს აჯრას—სოფელი ლძაანი; ლძაანის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნას სოფელ რაფიწიდან სოფელ ლძაანში.

გუდაუთის რაიონში:

1. ააცის სასოფლო საბჭოს სოფელს ბაკლანოვს — სოფელი ააცი; ააცის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნას სოფელ ბინთხიდან სოფელ ააცში;

2. აჭანდარის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს მიდარას—სოფელი აჭანდარა;

3. ბლაბურხვის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს აგვავერას—სოფელი ბლაბურხვა;

4. ჯირხვის სასოფლო საბჭოს სოფელს ჯირხვა-ახუწას—სოფელი ახუწა;

5. ჯირხვის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ხუდაარას—სოფელი ჯირხვა;

6. დურიფშის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს თარკილაარჰაბლას—სოფელი დურიფში;

7. ზვანდრიფშის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს არაშახუს—სოფელი ზვანდრიფში;

8. ზემო ანუხვის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს აგწას—სოფელი ანუხვა, ხოლო ზემო ანუხვის სასოფლო საბჭოს—ანუხვის სასოფლო საბჭო;

9. კალდახვარის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ჯაფხუნს—სოფელი კალდახვარა;

10. ოთხარის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ძაღრიპშს—სოფელი ოთხარა;

11. ხოფის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ათვახუს — სოფელი ხოფი;

12. ლიხნის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ბამბორას — სოფელი ლიხნი.

სოხუმის რაიონში:

1. ზემო ეშერის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ფიშთას—სოფელი ზემო ეშერა.

ოჩამჩირის რაიონში:

1. ტყვარჩელის სასოფლო საბჭოს სოფელს ატიშადუს—სოფელი ვარდისუბანი, ხოლო ტყვარჩელის სასოფლო საბჭოს—ვარდისუბნის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ვარდისუბანში;

2. არასაძიხის სასოფლო საბჭოს სოფელს გუფ-აგუს—სოფელი აჭანდარა, ხოლო არასაძიხის სასოფლო საბჭოს—აჭანდარის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ აჭანდარაში;

3. აგარაკის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს არაკიჩს—სოფელი დიდი აგარაკი, ხოლო სოფელ აგარაკს—სოფელი პატარა აგარაკი;

4. პირველი ბედიის სასოფლო საბჭოს სოფელს მეორე კოპიტს—სოფელი ზემო ბედია, ხოლო პირველი ბედიის სასოფლო საბჭოს—ზემო ბედიის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ზემო ბედიაში.

5. ზემო ბედიის სასოფლო საბჭოს სოფელს პირველ კოპიტს—სოფელი კოპიტი;

6. გუფის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ეშქითს—სოფელი გუფი;

7. კოჩარის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ქეთევანს—სოფელი კოჩარა;

8. ოტაფის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს წყარხმულს—სოფელი ოტაფი;

9. ფოქვეშის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს აგუუაას—სოფელი ფოქვეში;

10. თხინის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს აგუუაას—სოფელი თხინა;

11. ჭლოუს სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ლაგანიაა-რხუს—სოფელი ჭლოუ.

გალის რაიონში:

1. მეორე ბედიის სასოფლო საბჭოს სოფელს სანარდოს—სოფელი ბედია, ხოლო მეორე ბედიის სასოფლო საბჭოს—ბედიის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ბედიაში;

2. პირველი გალის სასოფლო საბჭოს სოფელს სამქვარს—სოფელი ნარინჯოვანი, ხოლო პირველი გალის სასოფლო საბჭოს—ნარინჯოვანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ნარინჯოვანში;

3. ცხირი—გალის სასოფლო საბჭოს სოფელს ცხირს—სოფელი მზიური, ხოლო ცხირი—გალის სასოფლო საბჭოს—მზიურის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მზიურში;

4. დიხაზურგის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს დიდ წიფურს—სოფელი დიხაზურგა;

5. მუხურის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს საშარანგიოს—სოფელი მუხური;

6. ნაბაკევის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს გაბარს—სოფელი ნაბაკევი;

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

7. საბერიოს სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს დაურჩკელას—სოფელი საბერიო;

8. ჭუბურხინჯის სასოფლო საბჭოს ცენტრს სოფელს ნალამუს—სოფელი ჭუბურხინჯი.

გაერთიანდნენ გალის რაიონის შემდეგი სოფლები:

1. სიდის სასოფლო საბჭოს სოფლები ჭანდარი, ტობა და სათანჯო და ეწოდოს სოფელი სიდა;

2. თაგილონის სასოფლო საბჭოს სოფლები: შუაუბანი და ქვემოუბანი და ეწოდოს სოფელი თაგილონი;

3. თაგილონის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემოუბანი და ეწერისუბანი და ეწოდოს სოფელი სალხინო;

4. ჩხორთოლის სასოფლო საბჭოს სოფლები: არადუქვა, ზემო ჩხორთოლი და ქვემო ჩხორთოლი და ეწოდოს სოფელი ჩხორთოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 31 ივლისი.

53. დაჯილდოებულთათვის ჯილდოების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ე. ლომიძე დაუშვებლად აჭიანურებს დაჯილდოებულთათვის ჯილდოების ჩაბარებას.

აღმასკომში მოუწესრიგებელია ჯილდოების აღრიცხვის საქმე. გაცემული ორდენებისა და საორდენო წიგნაკების აღრიცხვა არ სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომს მიმდინარე წლის 14 თებერვლიდან 31 ივლისამდე დაჯილდოებულთათვის ჩასაბარებლად მიღებული აქვს 1557 ჯილდო, ამათგან ჩაბარებული აქვს მხოლოდ 369, რომელთაგანაც 59 ჯილდოს ჩაბარება გაფორმებული არ არის სათანადო ოქმით. იმ პირთა შორის, რომელთაც მისაღები აქვთ ჯილდოები, არიან ისეთებიც, რომლებიც დაჯილდოებული იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ჯერ კიდევ 1949 წლის 2 მარტს, 1950 წლის 20 ნოემბერს და სხვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაჯილდოებულთათვის ჯილდოების დროზედ ჩაუბარებლობისათვის მიეთითოს ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბ. ე. ლომიძეს და დაევალოს:

1. ა/წ. 15 აგვისტომდე უზრუნველყოს დღემდე მიღებული ჯილდოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბარება ყველა დაჯილდოებულთათვის და შესრულება აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. მიიღოს ზომები, რათა მომავალში ჯილდოების მიღება-ჩაბარება და აღრიცხვა ხდებოდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების სრული შესაბამისობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 31 ივლისი.

54. ბრძანებულება ამხ. რ. ა. კვირკველიას მოხსნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან

მოიხსნას ამხ. რაფიელ არტემის-ძე კვირკველია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 8 აგვისტო.

55. ბრძანებულება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-14 მუხლში და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 101-ა მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს „მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დებულების“ მე-14 მუხლი და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან ნაცვლად ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისა შეიქმნას ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 101-ა მუხლში.

ეს ბრძანებულება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის შესახებ თბილისის ოლქში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო განათლების ორგანოებს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში.

მიუხედავად ამისა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების, სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და მათი სწავლებაში ჩაბმის საქმეში თბილისის ოლქში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

1951/52 სასწავლო წელს თბილისის ოლქის ქალაქებსა და რაიონებში სწავლებაში ჩაუბმელი იყო 19.872 ბავშვი და მოზარდი ანუ 5,76%. სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო ადიგენის რაიონში—554 ბავშვი (12,2%), წალკის რაიონში—1.410 (11,9%), საგარეჯოს რაიონში—774 (10,4%), ახალქალაქის რაიონში—1.356 ბავშვი (9,3%) და ა. შ.

სახალხო განათლების ორგანოების და სკოლის მუშაკების მიერ სათანადო ზომების მიუღებლობის გამო 1951/52 სასწავლო წლის განმავლობაში ოლქის სკოლებიდან გავიდა 26.983 მოსწავლე, აქედან მარტო ქ. თბილისის სკოლებიდან სასწავლო წლის განმავლობაში გასულია 6.589 მოსწავლე, გურჯაანის რაიონის სკოლებიდან—986, მარნეულის—944, წალკის—859, ქარელის—823 მოსწავლე და ა. შ.

საოლქო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში მოუწესრიგებელია სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმე.

სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა არ ხდება სასოფლო საბჭოების აღმასკომების, განათლების განყოფილებებისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორების ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობით. სასოფლო საბჭოებში მოუწესრიგებელია საკომლო დავთრების შევსება. ადგილი აქვს ცნობების არასწორად შეტანის შემთხვევებს. გორის რაიონის ხიდისთავის სასოფლო საბჭოს საკომლო დავთარში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა წლოვანების, გვარისა და სხვათა დამახინჯების 34 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების სახელმწიფო კანონის განუხრელად გატარების საქმეს, არ ისმენენ ამ საკითხს აღმასკომის სხდომებზე, არ იყენებენ ამ საქმეში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივ კომისიებსა და სოფლის აქტივს, არ ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს იმ პირების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სკოლაში ჩაბმას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. ყუჯიაშვილს და თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. მათიაშვილს მიიღონ საჭირო ზომები ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად ცხოვრებაში გასატარებლად, რისთვისაც:

ა) ერთი თვის ვადაში ჩაატარონ ოლქის სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა და ჩააბან ისინი სწავლებაში;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ საყოველთაო—სავალდებულო სწავლების გატარების მდგომარეობა თბილისის ოლქის ქალაქებსა და რაიონებ'ში, მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ და მიიღონ სასტიკი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან ან სათანადო მუშაობას არ ეწევიან სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა სწავლებაში ჩასაბმელად;

გ) დაავალონ თბილისის ოლქის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში სრულ წესრიგში მოიყვანონ საბინაო დავთრები და სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნები, დაუყოვნებლივ შეიტანონ სათანადო ცვლილებები აღნიშნულ მონაცემებში, მოაწესრიგონ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებათა მიერ დაბადების მოწმობების სწორად გაფორმება და თავის დროზე გაცემა;

დ) განუხრელად გაატარონ მთავრობის დადგენილება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესახებ, გაუწიონ ხელმძღვანელობა და კონტროლი 7-15 წლის ასაკის ბავშვთა ზუსტ აღრიცხვას დადგენილი წესის მიხედვით. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ჩააბან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისიები და სოფლის აქტივი;

ე) შეისწავლონ უდედმამო, შრომისა და სამამულო ომის ინვალიდთა ბავშვების მდგომარეობა და აღმოუჩინონ მათ საჭირო დახმარება სწავლის გასაგრძელებლად;

ვ) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობის სისტემატური შემოწმება ცალკეულ სასოფლო საბჭოებში და მათი შემოწმების შედეგების განხილვა აღმასკომის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე;

ზ) არ დაუშვან სასწავლო წლის განმავლობაში საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო მუშაობით მოსწავლეთა გადატვირთვის შემთხვევები;

ი) კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა მიიღონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ გზავნიან ბავშვებს სკოლაში და ხელს უშლიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას.

2. დაევალოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. ყუჯიაშვილს ა/წ. 1 დეკემბერს წარმოადგინოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის ოლქის საბჭოს აღმასკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განიხილონ აღნიშნული საკითხი თავიანთ სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 სექტემბერი.